პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 23 ივნისი № 144 (17489) ფასი 2 კაპ.

კოოპერატორთა დიდი მოვალეობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XVIII ყრილობის დელეგატებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა კოოპერატორს.

კოოპერაცია უდიდესი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც უნდა დავიფასოთ და გამოვიყენოთ — ასე განსაზღვრავდა კოოპერაციის არსს ვ. ი. ლენინი. კოოპერაციას დიდი მოვალეობა აკისრია ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

სკკპ XXV ყრილობამ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განსაზღვრა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელსაც მიმდინარე წელს არსებობის 60 წელი უსრულდება, ემსახურება რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტს. იგი წარმატებით ახორციელებს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და სოციალურ ფუნქციებს.

რესპუბლიკის მშრომელთა საერთო წარმატებებში, რაც ზედიზედ ექვსჯერ აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, თავისი გარკვეული წვლილი შეჰქონდა და შეაქვს საქართველოს კოოპერატორებს. ძირითადი საქმიანობის — საქონელბრუნვის გეგმის შესრულების პარალელურად ისინი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სასურსათო და სამრეწველო საქონლის დამატებითი რესურსების შესაქმნელად.

მტკიცდება სამომხმარებლო კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა და შენდება თანამედროვე ტიპის მრავალი სავაჭრო ცენტრი, უნივერმაღები და მაღაზიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ბაზები და სამრეწველო საწარმოები, ინერგება ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმები.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ისინი მოვალენი არიან უფრო მიზანსწრაფულად, აქტიურად იბრძოლონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. საჭიროა მუშაობა სოფლად, უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს მომხმარებელთა მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები. სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

მუშაობის სტილისა და ფორმების დახვეწის, მართვის სისტემის სრულყოფის, დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის გზით კიდევ უფრო მეტად უნდა ამაღლდეს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეფექტიანობა. უნდა გაუმჯობესდეს კადრებთან მუშაობა, ამაღლდეს თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა, განხორციელდეს შესაბამისი აღმზრდელობითი და ორგანიზაციული ღონისძიებანი და ამის მეოხებით აღიკვეთოს კოოპერაციული საკუთრების ხელყოფის, ვაჭრობის წესების დარღვევის, უუფლებობის ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები სრულყოფენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში და ღირსეულ წვლილს შემატებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური	საქართველოს სსრ უმაღლესი	საქართველოს სსრ მინისტრთა

საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

(გაგრძელება)

თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში ტელევიზიითა და რადიოთი აგიტაციის უფლება.

ამომრჩეველნი განაწესებენ აძლევენ თავიანთ დეპუტატებს. განაწესები შეაქვთ ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე განაწესების შეტანის, განხილვის, აღრიცხვისა და შესრულების წესს კანონი ადგენს.

მუხლი 10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები და ამომრჩევლები არ გაიღებენ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა არჩევნების კანონმდებლობის დარღვევისათვის

საარჩევნო კომისიათა წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, — ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

ქარი II.

არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს ორი თვისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 13. საარჩევნო ოლქების შექმნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის იქმნება 440 საარჩევნო ოლქი. საარჩევნო ოლქებს მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის მიხედვით ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე. საარჩევნო ოლქზე მოსახლეობის ნორმას ყოველი არჩევნებისათვის აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას ითვალისწინებენ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას.

საარჩევნო ოლქების სიები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვის შესახებ ერთსა და იმავე დროს ქვეყნდება.

ქარი III.

საარჩევნო უბნები

მუხლი 14. საარჩევნო უბნების შექმნა

კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში და შედის საარჩევნო ოლქებში ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში მათი ადგილსამყოფელის ან გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

ადგილიერ შემთხვევებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებისადმი სამხედრო ნაწილებში და არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების მიკუთვნების საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 15. საარჩევნო უბნების შექმნის წესი

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან ნაწილების ან ჯარის შენაერთების მეთაურები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს მეთხუთმეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ. ჯარის ნაწილებში, აგრეთვე დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება ამავე ვადაში, გამონაკლის შემთხვევებში კი არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოსახლეობას აცნობს თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

მუხლი 16. საარჩევნო უბნების შექმნის ნორმები

დასახლებულ პუნქტში ან დასახლებულ პუნქტების ჯგუფში საარჩევნო უბნები იქმნება არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩეველისათვის.

რაიონებში, სადაც პატარა დასახლებული პუნქტები ჭარბობს, აგრეთვე მთის რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 20 ამომრჩეველი.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნები იქმნება არა ნაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის.

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 50 ამომრჩეველი.

ქარი IV.

ამომრჩეველთა სიები

მუხლი 17. ამომრჩეველთა სიებში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიებში შეიტანენ ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს 18 წელი შეუსრულდათ და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) სახალხო დეპუტატთა მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე, თუ არ არსებობს მოქალაქის დაბადების დღისა და თვის ზუსტი მონაცემები, იგი ითვლება შესაბამისი წლის პირველ იანვარს დაბადებულად. არ შეიძლება ამომრჩეველის შეტანა ამომრჩეველთა ერთზე მეტ სიაში.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას, რაც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანენ მოქალაქენი, რომლებიც შეშლილობად არიან ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური, საოლქო ორგანოს მიერ შექმნილი საექიმო კომისიის დასკვნით. აღნიშნული დასკვნა შეიძლება განსაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანენ.

მუხლი 18. ამომრჩეველთა სიების შედგენა

ამომრჩეველთა სიებს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით ადგენენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ხელს აწერენ შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

ჯარის ნაწილებში მყოფ ამომრჩეველ სამხედრო მოსამსახურეთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ ჯარის ნაწილების მეთაურები. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით ამ სიებში შეიძლება შეიტანონ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები და სხვა ამომრჩეველები, თუ ისინი ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში ცხოვრობენ. ჯარის ნაწილების გარეთ მცხოვრები სამხედრო მოსამსახურენი ამომრჩეველთა სიებში შეიტანენ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საერთო საფუძველზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ გემების კაპიტნები.

ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც დასასვენებლად ან სამკურნალოდ არიან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, აგრეთვე ნაოსნობაში მყოფ გემებზე ადგენენ სახალხო დეპუტატთა იმ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს დაწესებულებები.

ამომრჩეველთა გვარები ამომრჩეველთა სიებში შეიტანენ ანბანის მიხედვით.

მუხლი 19. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა

ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გაცნობისათვის წარმოადგენენ არჩევნებამდე 20 დღით ადრე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ამომრჩეველთა სიები შეადგინა, უშუალოდ ან საუბნო საარჩევნო კომისიების მეშვეობით აუწყებს ამომრჩეველს სიების გაცნობის ადგილს და დროს.

მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწმონ მათი შედგენის სისწორე. შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

მუხლი 20. მოქალაქეთა უფლება გასაჩივრონ უსწორობანი ამომრჩეველთა სიაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გასაჩივროს სიაში ამომრჩეველთა შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში ჩაწერილი გვარის, სახელის, მამის სახელისა და ამომრჩეველის შესახებ სხვა მონაცემების უზუსტობანი.

ამომრჩეველთა სიაში უსწორობის შესახებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალენი არიან არა უგვიანეს ორი დღისა განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 21. ხმის მიცემის უფლების მოწმობა

თუ ამომრჩეველმა შეიცვალა ადგილსამყოფელი საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების წარმოდგენისა და არჩევნების დღეს შორის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. მოწმობა გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, რომელშიც წესდება შესაბამისი აღნიშნავნ.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებითის სიაში ნებისმიერ საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამომრჩეველთა დამატებითს სიას ადგენს საუბნო საარჩევნო კომისია და ხელს აწერენ მისი თავმჯდომარე და მდივანი.

ქარი V.

საარჩევნო კომისიათა შექმნა

მუხლი 22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები.

მუხლი. 23. წარმომადგენელთა დასახელება საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები იქმნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

წარმომადგენლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

წარმომადგენლებს საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანიზაციები, ამათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიათა შემადგენლობა ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 14 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს მეხუთე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

მუხლი 25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება თითოეულ საარჩევნო ოლქში თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 10 წევრის შემადგენლობით.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას არა უგვიანეს მეათე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 26. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, 4-16 წევრის შემადგენლობით, იმ საარჩევნო უბნებში კი, სადაც 100-ზე ნაკლები ამომრჩეველია, — თავმჯდომარის, მდივნის, 1-3 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ოცდამეათე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიათა რიცხობრივი შემადგენლობა, აგრეთვე მაშინ, როცა უბნის ტერიტორიაზე არის პატარა დასახლებული პუნქტები, გეოლოგიური პარტიები, სამეცნიერო ექსპედიციები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ან მდივანი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან 30 კალენდარული დღით და უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 27. საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის წესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი ან წევრი კომისიაში თავიანთი მოვალეობისაგან შეიძლება გათავისუფლოს მისი შემადგენლობის დამამტკიცებელმა ორგანომ პირადი განცხადების ან დამსახელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინების საფუძველზე. საარჩევნო კომისიაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და კომისიის შემადგენლობაში მისი დამტკიცება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

ქარი VI.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება და მუშაობის წესი

მუხლი 28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია:

ა) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთნაირად გამოყენებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს წარდგინებანი ამ კანონის განმარტების თაობაზე;

გ) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

დ) ისმენს საარჩევნო კომისიების, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, სხვა სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) უნაწილებს ფულად სახსრებს საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიათა უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და ინიჭავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ვ) ადგენს საარჩევნო ბიულეტენის ფორმას, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს;

ზ) იხილავს საარჩევნო კომისიათა არასწორი მოქმედების შესახებ მიღებულ განცხადებებს და საჩივრებს და გამოაქვს მათ გამო საბოლოო გადაწყვეტილებანი;

თ) აჯამებს მთლიანად რესპუბლიკაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს;

ი) რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში არჩეულ დეპუტატებს;

კ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას გადასცემს თითოეულ საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციას;

ლ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია თავისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას;

ბ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბნების შექმნის სისწორეს და ადგენს ოლქის მიხედვით საარჩევნო უბნების ერთიან ნუმერაციას;

გ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

დ) ისმენს საუბნო საარჩევნო კომისიების, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის წარდგენას;

ვ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორი მოქმედების გამო;

ზ) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;

თ) ამტკიცებს მოცემული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს, უზრუნველყოფს ბიულეტენების დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

ი) ადგენს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქის მიხედვით;

კ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 30. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) აცნობს ამომრჩეველს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობის შესახებ და ისინი შეაქვს სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად;

ბ) ამომრჩეველთა სიის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიას იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ;

დ) მოსახლეობას აუწყებს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მიცემის ადგილს;

ე) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას;

ვ) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

ზ) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო უბანში არჩევნების მომზადებისა და ხმის მიცემის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

თ) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

ი) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 31. საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი

საარჩევნო კომისიის სხდომებს იწვევს მისი თავმჯდომარე და ეს სხდომები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის წევრებს, რომლებიც მის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს.

საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებანი, მიღებული მათი უფლებამოსილების ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 32. საჯაროობა საარჩევნო კომისიათა მუშაობაში

საარჩევნო კომისიები ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას თავიანთი სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კომისიათა სხდომებს შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

მუხლი 33. უფლებამოსილების განხორციელებაში საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ აღძრული საკითხი და საარჩევნო კომისიას გასცენ პასუხი არა უგვიანეს სამი დღისა.

ქარი VII.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

მუხლი 34. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება იწყება არჩევნების დანიშვნიდან მეათე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე 30 დღით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოების საჯარო, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

შრომითი კოლექტივებისაგან დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება წარმოებს კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებსაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება მოეწყოს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით. შრომითს კოლექტივებს, სადაც მომუშავეთა რიცხვი მცირეა, შეუძლიათ მოაწყონ გაერთიანებული კრებები სხვა შრომითს კოლექტივებთან ერთად.

დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის სარდლობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრებები გაიმართება ქვეგანყოფილებში.

დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად კრების თითოეულ დამსწრეს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს დასახელებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით და დაუყოვნებლივ ეცნობება კანდიდატად დასახელებულ პირს.

დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: კანდიდატის დასახელებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, სხდომისა თუ კრების მონაწილე პირთა რიცხვი, დასახელებული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დასახელეს, ირჩევენ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს, აგრეთვე მოსახლეობას აწვდიან ცნობებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ პრესის, ტელევიზიის, რადიოს შეშვებობით.

მუხლი 35. დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისათვის მხარდაჭერის უფლება

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ან ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 36. საოლქო წინასაარჩევნო თათბირი

საარჩევნო ოლქში დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა განხილვისათვის შეიძლება მოეწყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენელთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებს იწვევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული ორგანოები.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირები იღებენ გადაწყვეტილებებს დეპუტატობის კანდიდატთა მხარდაჭერის შესახებ, გამოდიან მიმართვებითა და მოწოდებებით ამომრჩეველთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისადმი; მათ შეუძლიათ აირჩიონ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი.

მუხლი 37. დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

დეპუტატობის კანდიდატის დამსახელებელ სახოგადოებრივ ორგანიზაციას, შრომითს კოლექტივს, ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრებას უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისათვის გათვალისწინებული წესით და წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას.

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე ნებისმიერ დროს, მოხსნას თავისი კანდიდატურა. კანდიდატს განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ შეაქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში.

დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

(დასასრული)

ბილი უნდა იყოს კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განსაზღვრული უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილი და დადგმული — საარჩევნო ყუთები. ხმის მიცემის ორგანიზაციისა და შენობაში წესრიგის უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებს საუბნო საარჩევნო კომისია.

ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით. ამას შეიძლება დაესწროს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

ყოველი ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენებს აძლევს. ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის რაიმე სხვა მოწმობის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენების გაცემის შესახებ ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ აღნიშნა.

საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ცალკეული ამომრჩევლებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შიმოსვლის პირობების გამო ვერ შეძლებენ პირადად მისვლას ხმის მიცემის შენობაში, მათი თხოვნით, გამონაკლისის სახით, დაავალოს კომისიის ერთ ან რამდენიმე წევრს მოაწყონ კენჭისყრა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას. დიდ რკინიგზის სადგურებში შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ როგორც სადგურებში, ისე შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში მყოფ ამომრჩეველთა ხმის მიცემას.

მუხლი 49. საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი

ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენებს ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ხმის მიმცემის გარდა ვისიმე ყოფნა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, შეუძლია კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, საარჩევნო კომისიის წევრის გარდა.

ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას მასში ტოვებს იმ კანდიდატს გვარს, ვისაც ხმას აძლევს, და შლის დანარჩენთა გვარებს. ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვების გზით.

მუხლი 50. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საარჩევნო უბანში ხმებს ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ ხმის მიცემა დამთავრებულია. საარჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნამდე საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა გააუქმოს ყველა ბიულეტენი, რომლებიც არ მიუცია ამომრჩეველებისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვს უბანში, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოქმის მიხედვით (მოცემული საარჩევნო უბნის ფარგლებში) განსაზღვრავს ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, თითოეული დეპუტატობის კანდიდატის „მხარდასაჭერად" მიცემული ხმების რიცხვს, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ბათილად ცნობენ დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ერთზე მეტი კანდიდატია დატოვებული. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 51. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და არა უგვიანეს 24 საათისა უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, თუ ასეთი არის; კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები კენჭისყრის ან ხმების დათვლის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ; აქტი, რომელიც დგება საარჩევნო ყუთზე პლომბის ან ლუქის დაზიანების შემთხვევაში.

მუხლი 52. ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა

საარჩევნო არჩევნების შედეგებს ადგენს საოლქო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; საარჩევნო ბიულეტენების მიმღებ ამომრჩეველთა რაოდენობას; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს; თითოეული დეპუტატობის კანდიდატის „მხარდასაჭერად" და „წინააღმდეგ" მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლება დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში ოლქის ყველა ამომრჩეველის ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ამომრჩეველის ნახევარზე ნაკლები, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ოლქში რეგისტრირებული იყო ერთი კანდიდატი.

ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 53. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები, და არა უგვიანეს 24 საათისა უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, თუ ასეთი არის; განცხადებები და საჩივრები, რომლებიც კომისიაში შემოვიდა კენჭისყრის დროს, ხმების დათვლისას ან არჩევნების შედეგების დადგენისას დაშვებული დარღვევების გამო.

მუხლი 54. დეპუტატთა რეგისტრაცია, არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე აჯამებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს მთლიანად რესპუბლიკაში, რეგისტრაციაში ატარებს თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია უარი თქვას დეპუტატის რეგისტრაციაზე და ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების დროს ან ხმის დათვლისას, ანდა ოლქში არჩევნების შედეგების განსაზღვრისას იყო ამ კანონის დარღვევის შემთხვევები.

ცნობას მთლიანად რესპუბლიკაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ დეპუტატთა სიას ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არა უგვიანეს არჩევნების მეხუთე დღისა.

ქარი X.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნები

მუხლი 55. ხელახალი არჩევნები

თუ დეპუტატობის კანდიდატთაგან, რომლებიც კენჭს იყრიდნენ საარჩევნო ოლქში, არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას მოაწყოს საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნები.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს ხელახალი არჩევნების ჩატარების საკითხი, ამასთან იგი შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მიმართავს წინადადებით დაამტკიცონ მოცემული საარჩევნო ოლქის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ახალი შემადგენლობა.

ხელახალი არჩევნები ეწყობა ერთი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ხმის მიცემა წარმოებს იმავე საარჩევნო უბნებში და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის 56-ე მუხლით დაწესებულ ვადაში.

მუხლი 56. გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა არჩევნების მოწყობა

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ბათილად ცნობს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილებას, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის მანძილზე დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქებში ორი თვის ვადაში მოეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა და იგი ტარდება ამ კანონის შესაბამისად. ამასთან საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება არჩევნების დანიშვნის მესამე დღეს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები — მეხუთე დღეს. დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე 15 დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ან მდივანი თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 20 კალენდარული დღით და უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

თუ დეპუტატი გამოაკლდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ექვსი თვის ნაკლები დარჩენილი, გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები არ ჩატარდება.

ქარი XI.

დეპუტატად არჩევის მოწმოება. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი

მუხლი 57. დეპუტატად არჩევის მოწმობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების, ხოლო ხელახალი არჩევნებისა და ფამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების დროს—საარჩევნო ოლქში ბალმარული არჩევნების შედეგების შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისია აძლევს ოლქში არჩეულ დეპუტატს მოწმობას დეპუტატად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დეპუტატის უფლებამოსილებათა ცნობის შემდეგ მას დეპუტატად არჩევის მოწმობას შეუცვლიან დეპუტატის მოწმობით.

მუხლი 58. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, აგრეთვე, იმ მოწმობების ფორმებს, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიები აძლევენ დეპუტატობის კანდიდატებსა და დეპუტატებს, აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 59. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმის წარმოებას საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ შესაბამისი კომისიების შემადგენლობის დამტკიცებელ ორგანოებს.

საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს აგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

არქივების საერთაშორისო კვირეული

არქივები საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით წლეულს ეწყობა არქივების საერთაშორისო კვირეული. საქართველოში იგი 25 ივნისს დაიწყება და 1 ივლისამდე გასტანს. იგი მიზნად ისახავს საზოგადოებას ფართოდ გააცნოს წარსულის დოკუმენტური ძეგლები.

კვირეულის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებები. მოეწყობა ტელეგადაცემები: „ცენტრალური სახელმწიფო არქივები — დოკუმენტური ძეგლების დაცვისა და სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრები", „ქართული წერილობითი ძეგლები საზღვარგარეთ", „კინოფოტოფონოარქივი — საქართველოს მუსიკალური კულტურის მატიანე". ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმი „საქართველოს არქივები", მომზადდება რადიოგადაცემები: „საარქივო დოკუმენტები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შესახებ", „აფხაზეთის არქივების 50 წელი", „აჭარის არქივისტები მრგვალ მაგიდასთან", „არქივი — საბჭოთა ხალხის საუნჯე", „საარქივო დოკუმენტები სახალხო მეურნეობის საშსახურში" და სხვ. ცენტრალური სახელმწიფო არქივები მოაწყობენ უნიკალური დოკუმენტების გამოფენებს და საარქივო ბეჭდური გამოცემების რეტროსპექტივ ჩვენებას. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართება მკვლევართა კონფერენციები, თათბირ-შეხვედრები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან.

ამით საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივები გარკვეულ წვლილს შეიტანენ „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანების განხორციელებაში, სადაც აღნიშნულია — „ყველა მშრომელი აღვზარდოთ მაღალი იდეურობისა და სოციალისტური სამშობლოს, კომუნიზმის საქმის ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მთლიანად დავძლიოთ ბურჟუაზიული შეხედულებები და ზნეჩვეულებანი, ხელი შევუწყოთ ადამიანურ ურთიერთობათა განმტკიცებას, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნას", სახელმწიფო არქივების მიზანია დაიცვან და შემოუნახონ მომავალს ერის სულიერი კულტურის დოკუმენტური საუნჯე და გამოიყენონ იგი კომუნისტური შენებლობის ინტერესებისათვის.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარება რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანია.

დოკუმენტური განძის დაცვის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკაში შექმნილია მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სათანადო საცავებით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დოკუმენტების მიკროფილმირებისა და სარესტავრაციო, კინო, ფოტო და ფონოლაბორატორიებით.

ცენტრალური სახელმწიფო არქივების, მათი ფილიალებისა და რაიონული სახელმწიფო არქივების სახით ჩამოყალიბებულია არქივების ფართო ქსელი. თბილისში მოქმედებს სასამართლო, ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების, კინოფოტოფონოდოკუმენტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივები. ამ არქივებში დაცული უამრავი დოკუმენტი მოგვითხრობს ქართველი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე IX საუკუნიდან დღემდე.

განსაკუთრებით მდიდარი ინფორმაციის მომცველია საბჭოთა ეპოქის საარქივო ფონდების დოკუმენტები. ს. ორჯონიკიძის დეპეშა ლენინისა და სტალინისადმი — „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს", ქართული ელექტრიფიკაციის პირმშო — ზაჰესი, რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, პირველი ხუთწლეულები, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, საქართველოს სსრ დაჯილდობა პირველი ლენინის ორდენით და სხვ. ყოველივე ეს აღბეჭდილია აგრეთვე კინო, ფოტო და ფონოდოკუმენტებში.

კანონმა „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ" საარქივო დოკუმენტები ასეთ ძეგლთა რიცხვს მიაკუთვნა. ეს ფაქტი საარქივო საქმის შესახებ ლენინური დეკრეტის დებულებათა განხორციელების საუკეთესო მაგალითია.

რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მთელი საქმიანობა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებასთან არის დაკავშირებული. მშრომელთა იდეოლოგიურ-პოლიტიკური აღზრდის მიზანს ემსახურება დოკუმენტური ძეგლების პოპულარიზაცია, რაც უპირველესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზია, რადიო, პრესა) ხორციელდება, კინოფოტოფილმების სერია „ნახევარი საუკუნის მატიანე", კინო და ტელესტუდიებმა მოამზადა დოკუმენტური ფილმები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ-უფლებრივი შინაარსის პასუხების გაცემას. 1976–1978 წლებში რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებმა ცნობები გასცეს 226.800 განცხადება-მომართვაზე.

დოკუმენტების უფრო სრულყოფილი გამოყენების მიზნით ცენტრალური სახელმწიფო არქივები ადგენენ მეგზურებს, სხვადასხვა სახის ცნობარებს, კატალოგებს, მიმოხილვებს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" უახლოეს დროში გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ცნობას „საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივები", რომელიც მკითხველს გააცნობს რესპუბლიკის არქივების ისტორიას და მასში დაცული დოკუმენტური წყაროების შინაარსს.

დიდი ყურადღება ექცევა ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში სამეცნიერო-საპუბლიკაციო მუშაობას. უკანასკნელ ხანს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტებთან, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით მომზადდა დოკუმენტური კრებულები: „კულტურული მშენებლობა საქართველოში" (1921-1941 წლები) ორ ტომად, „საქართველოს საბჭოების ყრილობები" (1921-1937), „საკოლმეურნეო-კოოპერაციული მშენებლობა საქართველოში" (1921-1928), „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში" (1921-1932). და სხვ.

დოკუმენტური ინფორმაციის სიუხვე არქივებში მრავალ მკვლევარს იზიდავს, რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამკითხველო დარბაზებში სისტემატურად მუშაობენ როგორც ადგილობრივი, ისე მომძე საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსული მკვლევარები, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევი გახდა უცხოელ არქივისტთა დაინტერესება საქართველოს არქივებით. 1976-1979 წლებში ჩვენს მუშაობას გაეცნენ ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

არქივების საერთაშორისო კვირეული ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გადიდებას.

ა. მანელაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი.

ხალხის საგანძური

დოკუმენტური ინფორმაციის ცენტრები

ვენის მოლაპარაკება

ვენა. 21 ივნისი. (საკადესის კორ.). დღეს ვენის ჰოფბურგის სასახლეში გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა 207-ე პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ზოლტან ფოდორი.

როგორც ჟურნალისტებს უნგრეთის დელეგაციის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა აცნობა, ზ. ფოდორმა გამოსვლაში განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების ხელმოწერას და იმედი გამოთქვა, რომ ამით ვენის მოლაპარაკებისათვის ისახება ახალი პერსპექტივები და შესაძლებლობანი. მან თქვა, რომ სხვა ურთიერთმისაღებ შეთანხმებათა მომზადება, მათ შორის რთულ სამხედრო საკითხებზეც, შესაძლებელი იქნება, თუ დასავლელი პარტნიორები აღიარებენ და თანამიმდევრულად დაიცავენ თანასწორი უშიშროების, ნაცვალგებისა და ვალდებულებათა ტოლფასობის პრინციპს.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება ავტომატურად ვერ აღმოფხვრის ყველა დაბრკოლებას ვენის მოლაპარაკებაზე. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულებით მომზადდეს ნაყოფიერ საფუძველზე პროგრესის შესაძლებლობანი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლინდება, თუ დასავლელ მონაწილენი რეალურად გამოძებნიან ურთიერთმისაღებ შეთანხმების გზებს და ხელს აიღებენ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობების მიღწევის ცდებზე. მათ აგრეთვე უნდა გადასინჯონ თვითნებურ წინადადებებზე აგებული თავიანთი მოთხოვნები, და დაადგენენ ურთიერთკომპრომისების გზას, როგორც ეს გააკეთა ოთხმა სოციალისტურმა ქვეყანამ 1978 წლის 8 ივნისს თავის წინადადებებში. ამ წინადადებებს ოფიციალური და კონკრეტული პასუხი უნდა გასცენ საერთაშორისო ურთიერთობაში მიღებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

დასასრულ ზ. ფოდორმა დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა შეცვალონ თავიანთი პოზიცია ჯარების რიცხვის საკითხში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა 21 ივნისს შეხვდა და ესაუბრა თბილისში ჩამოსულ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის გამგეობის თავმჯდომარეს უ. მილერს.

საუბრის დროს ნ. ა. ჭითანავამ აღნიშნა, რომ უ. მილერის საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოფნა დაემთხვა ღირსშესანიშნავ მოვლენას — სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის სხვა დოკუმენტების ხელმოწერას.

უ. მილერმა თქვა, რომ ვენაში დადებული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება შემობრუნების პუნქტი იყო უაღრესად რთულ გზაზე პროგრესის მიღწევაში.

სტუმარს გააცნეს საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

იმავე დღეს უ. მილერის პატივსაცემად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სახელით გაიმართა სადილი. (საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

დილაობის ჟურნალი

ცხოვრება

მოკლედ

ყოველი მხრიდან

22 ივნისი

ვარშავა. პოლონეთის რესპუბლიკის ქვანახშირის შახტებს, რომლებიც შრომის ორგანიზაციის ოთხბრიგადიან სისტემას იყენებენ, კიდევ ორი საწარმო შეემატა. ახლა ახლებურად მუშაობს ქვეყნის ყველა შახტის მესამედი. შრომის რაციონალურ ორგანიზაციაზე გადასვლა წელს დაიწყო, მაგრამ უკვე ნათლად ჩანს სიახლის უპირატესობა და ეფექტიანობა. მაღაროელებს ახლა 7-8 დასვენების დღე აქვთ ყოველთვიურად.

პარიზი. აქ უთანხმოების ვითარებაში დამთავრდა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის 25-ე სესიის პირველი ნაწილი. სესიის მთელმა რიგმა მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს ნატოს ევროჯგუფის წევრთა იმ ცდების გამო, რომ ააღორძინონ დასავლეთ ევროპაში რაღაც „ევროპული თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის იდეა. კერძოდ, საფრანგეთის წარმომადგენელმა შეიფასა ეს გეგმა, როგორც სახიფათო ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

სესიაზე მხარი არ დაუჭერეს აგრეთვე ეგრეთ წოდებული ევროპის „იარაღით მომარაგების სააგენტოს" შექმნის წინადადებას, რომლის მიღებაც ნიშნავს „საერთო ბაზრის" ფაქტიურ მილიტარიზაციას.

დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის 25-ე სესიის დასკვნითი ნაწილი წლის ბოლოს გაიმართება.

ჰააგა. კრიზისი, რომელმაც მოიცვა ჰოლანდიის გემთმშენებლობის მრეწველობა, ახალი დათხოვნებით ემუქრება ამ დარგის მუშებს. ვლსმ გემთსაშენის გემთმშენებლებმა ჰაგაში პარლამენტის შენობის წინ მოაწყვეს მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია ადმინისტრაციის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ დახუროს გემთსაშენი მისი „არარენტაბელობის" მომიზეზებით. დემონსტრანტებმა მოსთხოვეს მთავრობას მიიღოს საგანგებო ზომები მრეწველობის ამ დარგში სამუშაო ადგილების შენარჩუნებისათვის.

ულან-ბატორი. აქ მუშაობა დაამთავრა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში იაპონელ მილიტარისტებზე გამარჯვების მე-40 წლისთავს. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საბრძოლო თანამეგობრობაზე, ხალხინ-გოლთან გამარჯვების ისტორიულ მნიშვნელობაზე.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ELIBRARY.NAPLES.GE

ქარი XI.

დეპუტატად არჩევის მოწმოება. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი

მუხლი 57. დეპუტატად არჩევის მოწმობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების, ხოლო ხელახალი არჩევნებისა და ფამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნების დროს—საარჩევნო ოლქში ბალმარული არჩევნების შედეგების შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისია აძლევს ოლქში არჩეულ დეპუტატს მოწმობას დეპუტატად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დეპუტატის უფლებამოსილებათა ცნობის შემდეგ მას დეპუტატად არჩევის მოწმობას შეუცვლიან დეპუტატის მოწმობით.

მუხლი 58. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, აგრეთვე, იმ მოწმობების ფორმებს, რომლებსაც საოლქო საარჩევნო კომისიები აძლევენ დეპუტატობის კანდიდატებსა და დეპუტატებს, აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 59. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმის წარმოებას საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ შესაბამისი კომისიების შემადგენლობის დამტკიცებელ ორგანოებს.

საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს აგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 ივნისი.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ELIBRARY.NAPLES.GE

„...და პურს შეჭამთ, ხოლო წყალს დალევთ..."

— ეს სიტყვები აწერია ლურსმულ-ხეთურად და ჩეხურად შემორიალს, რომელიც ჩეხმა ხალხმა თავის სახელოვან მამულიშვილს, ხეთოლოგიის ფუძემდებელს, გამოჩენილ ორიენტალისტს ბედრიხ ჰროზნის სულ ახლახან დაუდგა თავის პატარა მშობლიურ ქალაქ ლაბას ლისაში. სწორედ ამ სიტყვების ამოკითხვამ მისცა დაუღალავ მკვლევარს ის „ჯადოსნური გასაღები", რომლითაც ბ. ჰროზნიმ 1915 წლის 24 ნოემბერს წინა აზიის შემსწავლელი „ბერლინის საზოგადოების" წინაშე წარდგენილი 33-გვერდიანი წინასწარი ანგარიშით „გააღო" დიდი საიდუმლოების კარი. სწორედ ამ გასაღებით გაიშიფრა ხეთების დედაქალაქ ხათუსას სახელმწიფო არქივის მანამდე უცნობ ინდოევროპულ — ხეთურ ენაზე შედგენილი ათასობით ლურსმული ფირფიტა, რომლებიც ამოთხრილნეს 1906-12 წლებში თურქეთის სოფელ ბოღაზქოიში.

ასი წელი გ

პოეზია ცხოვრების თანამგზავრი





გუდაში ლექსს რა გამოსცლის!

მესტვირული საღამოები

სული კაცისა ყველაზე უკეთ ლექსში ჩანს. სიხარულის დროს ერთბაშად, დაუკითხავად ამოვარდება გულიდან სათქმელი. სულის შეჭირვებისას თუ ჭირთა თმენისას — „ლექსო, ამოგთქმა, ოხერო“ და წამწამზე დაკიდული ცრემლივით მისწყდება სული, თითქოს ქვეყნისაკენ დარდს გატანას ამოთქმულს კაცი და სულს გაამსუბუქებს. უმალ გასხვისდება ლექსი, საკუთარ ვარამს დაინახავს შიგ ვიღაც და ჭირიც შეუმსუბუქდება. ასე ებმება ერთმანეთს პოეზიის უხილავი ძაფებით ადამიანთა გული.

სრბეერაც ასეა. ამოთქმულ ლექსს მელოდიასაც თან მოაყოლებდა ქართველი და უფრო მოესალბუნებოდა სული.

...ამ შესანიშნავ ღონისძიებებს ჯერ კიდევ ორი თვის წინ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ქართული ხალხური პოეზიის საღამოებით. ორიოდე დღის წინ კი იგივე დარბაზი მესტვირული პოეზიის მოყვარულთ მასპინძლობდა. წინა საღამოებში უფრო წმინდა პოეზია დომინირებდა. სიმღერებიც იყო გარეული, მაგრამ მხოლოდ როგორც პოეტურ ნაწარმოებთა შესრულების ფორმა.

მესტვირული პოეზია კი თავად სიმღერაა.

მღეროდა რაჭველი მესტვირე ცხოვრების ავსა და კარგზე, კეთილსა და ბოროტზე, სიცოცხლეზე, რომელსა „ვერცა მისწვდები, ცამდეც რომ აჰყო ხელია!“. თითქოს ხალხმა ნელ-ნელა მიივიწყა გულდასტვირი, ძველი მესტვირეების ლეკა ტოგონიძის, ზაქარია და ესტატე ერაძეების საქმეს გამგრძელებლები აღარ უჩანდნენ. სტვენის გამკეთებელიც კი სანთლით საძებარი შეიქნა. მაგრამ საბედნიეროდ ისევ აღორძინდა ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს დარგი და დღეს რაჭაში ასაკოვანი ადამიანები კი არა, სკოლის მოსწავლეები და ქალები მღერიან სტვირზე.

იმ საღამოს ჭიბონიც გაიცნო მაყურებელმა — ძირითადად აჭარაში გავრცელებული საკრავი, რომელზედაც აჭარლები თავიანთ ცნობილ „ხორუმს“, „განდაგანას“ და „აჭარულს“ ეკვეთვენ.

სკეროზე ერთმანეთს ცვლიდნენ ამბროლაურელები და ქედელები, ონელები და შუახეველები, ბათუმელები, ქობულთელები, მაყურებელს მოეწონა მამა-შვილის შალვა და ბაკურ ჯაფარიძეების, რევაზ და დათო ბერაძეების, აგრეთვე დარეჯან ფარულავას, შერმადინ ჩაგელიშვილის, ირინე ჭუმბაშვილის, ზურაბ ბაღდადიშვილის, იუსუფ ვერულაძის, მურმან ქათამაძის, ვასო ირემაძის, სხირტლაძეების, გუგეშაშვილების, ვასაძეების, ირემაძეების ოჯახების, ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოკეკვავეთა წრის წევრების, გამოსვლები.

ძალზე სასიამოვნოა, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ჩვენი სიმღერიის ასე რუდუნებით შეგროვება-შეკონვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ამ ყურადღების გამოხატულება იყო ეს საღამოებიც, რომელთა ინიციატორები ჩვენი ფოლკლორის მოამაგენი სოლომონ ლაფაური და გიგა ჯაფარიძე იყვნენ.

შას განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა წამყვანი — ვახუშტი კოტეტიშვილი.

„გუდაში ლექსს რა გამოსცლის, სულში განა ნაცარიაო!“ მღეროდნენ ჩვენი მამები. დაე, ნურც შვილებს დალეოდეთ ჯანსაღი სულიდან ამოხეთქილი მადლიანი სიმღერა და ლექსი.

ბ. ხარებავშვილი.

●●

სურათებზე: გუდა-სტვირზე უკრავს ამბროლაურელი შალვა ჯაფარიძე (მარცხნივ); გამოდიან ნორჩი აჭარელი ჭიბონისტები.

ს. კილაძის ფოტო.

ჩვენს არემარეში

ინფორმაცია — 79

სანაოსნოს ხოლალდი შეემატა

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნო ფლოტს კიდევ ერთი ახალი გემი შეემატა. ეს არის დიდტონაჟიანი ხომალდი „მხატვარი გაბაშვილი“, რომელიც მომმე ბულგარეთის ქ. ვარნის გ. დიმიტროვის სახელობის გემთსაშენ ქარხანაში ააგეს.

ახალი გემი პირველი რეისით ილიჩოვსკში, ჩავიდა. დაიტვირთა და კურსი იუგოსლავიისაკენ აიღო, შემდეგ საბაზო ნავსადგურისაკენ გამოემართა და ღუზა ბათუმის ნავსადგურში ჩაუშვა.

პაატას „მოსკვიჩი“

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია). ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ პაატა იგორის ძე ჯანჯღავამ სკოლიდან წიგნების მაღაზიაში შეიარა. ახალი წიგნების შეძენისას საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1979 წლის დამატებითი გამოშვების რამდენიმე ცალი ლატარიის ბილეთიც იყიდა.

ერთ-ერთი ბილეთი იღებლიანი გამოდგა, პაატას ბილეთის 41719 სერიის № 290 ბილეთს მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი — 412“ ერგო.

ოქიგო „ჟიგული“

მეცხრე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა გორელმა ილია შიხელის ძე, გელაშვილმა კულტურის ძეგლთა დაცვისადმი მიძღვნილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთთან, რომლის სერიაა 41750, № 434, მოიგო ავტომობილი „ჟიგული“ — 2106, ხოლო ამავე რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ვახტანგ ივანეს ძე მურადაშვილმა — № 40101 სერიის № 321 ბილეთით ავტომობილი „ჟიგული“ — 2101.

ვ. პაპარაშვილი,
გორის შემნახველი სალაროს გამგე.

დანაშაულის კვალდაკვალ

შარაგზის ყაჩაღები

მძარცველთა ეს ჯგუფი ორი წლის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ქარელის, ხაშურის, გორის, ბორჯომის რაიონებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, მგზავრებს, ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ქურდების ძირითადი ობიექტები მაინც მაღაზიები იყო, ისინი უფრო ფულს ეტანებოდნენ, მაგრამ არც სამრეწველო საქონელზე ამბობდნენ უარს. 1977-1978 წლებში ამ არაკაცებმა 22 მაღაზია გატეხეს და 35.563 ათასი მანეთის სახელმწიფო ქონება გაიტაცეს.

გათამამებულმა ნაძირალებმა შემდეგ მოქალაქეთა ძარცვას მიჰყვეს ხელი. თბილის-ქუთაისის სამგზავრო მატარებლის საერთაშორისო ვაგონში მგზავრებს ძილის დროს აიკალეს ტანსაცმელი, შემდეგ კი თბილის-ვალეს მატარებელში მოქალაქეებს 935 მანეთი მოპარეს.

ფეხზე იდგა დასახელებული რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების ოპერატიული სამსახურის მუშაკები, მაგრამ ყველას მაინც ორჯონიკიძელმა წესრიგის დამცველებმა აჯობეს. ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ვ. ტაბატაძე, მისი მოადგილე გ. კურტანიძე, ოფიცრები ჯ. ცხოვრებაძე და თ. ჭიპაშვილი, ბევრი უძილო ღამე გაათენეს, მკირეოდენი კრიმინალური მონაცემებით სწორი მოქმედების გეგმა შეიმუშავეს და ბანდიტების თარეშსაც ბოლო მოეღო.

ბორტმოქმედებმა ყველა ჩადენილი დანაშაული აღიარეს და ახლა განსასჯელის სკამს ელოდებიან. ეს ბანდის შავბნელი საქმეების ლოგიკური დასასრული იქნება, მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის — მძარცველები კომკავშარელები, სურამის № 14 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები არიან.

ახლა საინტერესოა რას იტყვიან გივი ავთანდილის ძე მახათაძის, ნუკრი გივის ძე შველიძის, რომან ზაქარიას ძე სამხარაძის, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორეფოსოს, გურამ ივანეს ძე ბოლოთაშვილის მშობლები და მათი აღმზრდელი მასწავლებლები? ორი წლის განმავლობაში ახალგაზრდები რომ სისტემატურად იყარგებოდნენ ღამის საათებში, მოსწავლისათვის შეუფერებლად იცვამდნენ და ხელგაშლილად ხარჯავდნენ ფულს, ქეიფობდნენ და ლოთობდნენ, ნუთუ ყველაფერი ეს საგულისხმო და საგანგაშო სიგნალი არ უნდა ყოფილიყო?

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თბილისი — ლოუელი:

თანამშრომლობის ხიდი

„თბილისისა და ლოუელის უნივერსიტეტების მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულება კიდევ ერთი ნაბიჯია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში“, — ასე თქვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინათ დადებული ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის ხელშეკრულების შესახებ სენატორმა ე. კენედიმ, რომელიც შეხვდა და ესაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ დ. ჩხიკვიშვილს.

ამ აზრს იზიარებენ სენატორი ჰ. ცანგესი, ქალაქ ლოუელის მერი რ. რურკე, მასაჩუსეტსის შტატის სენატის წევრები, შტატის მეცნიერების, კულტურის, უმაღლესი განათლების წარმომადგენლები, რომლებიც ხელშეკრულების დადებას დაესწრნენ.

თავიანთ გამოსვლებში მათ აღნიშნეს, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის შეხვედრას, ხაზი გაუსვეს, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე ხელშეკრულების დადებას საარსებო მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მასაჩუსეტსის შტატის სენატის სხდომაზე, სადაც თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა სიტყვა წარმოთქვა ლოუელის მერმა რ. რურკემ წაიკითხა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება პროფესორ დ. ჩხიკვიშვილის ქალაქ ლოუელის საპატიო მოქალაქედ არჩევის შესახებ.

ახლახან პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი და თბილისის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე პროფესორი ი. ვაშაკიძე დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ისინი მონაწილეობდნენ ხელშეკრულების ხელმოწერაში.

—ლოუელის უნივერსიტეტი ამერიკის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელია, — უთხრა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს. — უნივერსიტეტში 12 ათასი სტუდენტი — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის მომავალი სპეციალისტები სწავლობენ. მას მუსიკალური ფაკულტეტიც აქვს. ლოუელის უნივერსიტეტი მასაჩუსეტსის შტატის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ამერიკელი ხალხის ბრძოლის აკვანს, ამერიკის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს.

ორი უმაღლესი სასწავლებლის ხელშეკრულება ხანგრძლივი პერსპექტივისთვისაა გათვალისწინებული. იგი ითვალისწინებს პროფესორთა, მასწავლებელთა და სტაჟიორთა რეგულარულ გაცვლას. უმაღლესი სასწავლებლები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას სასწავლო-მეთოდიკურ საკითხებზე, გაუცვლიან სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას, აგრეთვე ბიბლიოგრაფიულ გამოცემებსა და იმ მეცნიერული ნაშრომების ანოტაციებს, რომლებსაც უნივერსიტეტები უშვებენ.

შედგენილია 1980-1981 წლების თანამშრომლობის სამუშაო პროგრამა. ამ დროის განმავლობაში უნივერსიტეტები გაუცვლიან ერთმანეთს ბირთვული და თეორიული ფიზიკის, საინჟინრო ფსიქოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის სპეციალისტებს. ისინი წაიკითხავენ ლექციებს, გაუზიარებენ ერთმანეთს პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილებას, მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ კვლევაში.

ჩვენ გავეცანით შტატის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესისა და მეცნიერული კვლევის მდგომარეობას, დავათვალიერეთ სამეცნიერო ცენტრები, ვიყავით ელექტრონული მოეწყვლობისა და გამოსათვლელი მანქანების საწარმოებში. ჩვენ გულითადად და გულთბილად მიგვიღეს და რაზეც ვიყავ ინ, ბოლოს, უთუოდ, ვეხებოდით ჯ. კარტერისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას, აღვნიშნავდით თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადებას ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა ხალხის ბედისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ადამიანები დიდად აფასებენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პირად წვლილს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ეს, კერძოდ, ჩვენთან საუბარში ეკვეა სენატორმა ე. კენედიმ. მან გულთბილად გაიხსენა საქართველოში გატარებული დღეები, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა. მან თქვა, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე რეპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა და საუბრებმა.

(საქინფორმი).

გატაცება

რომ ვარდ-ყვავილის ზეიმი იყოს...

ამ მინიატურულ ბაღნარს უკვე ბევრი თბილისელი იცნობს. შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა გულთბილი სიტყვებით, სურვილებით. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდანაც მოდიან აქ, რათა უდიდესი სიყვარულით გაშენებული კოხტა ეზო ნახონ. ეს სილამაზე მეგობარ-დეკორატორს თინათინ ხარაძეს ეკუთვნის.

— არა, რატომ მე? — ღიმილით ამბობს იგი, — მართალია, ჩემი ყოველდღიური შრომა ჩაეკლავება ამ უკაცრიელი მიწის ნაკვეთის აყვავებას, მაგრამ ახლა აქაურობა მთელ თბილისს, მის ჭეშმარიტ მოქალაქეებს ეკუთვნის. ყველას შეუძლია მოვიდეს, დატკბეს, ნარფერი ყვავილების სილამაზით და შემდეგ, იქნებ, მათაც გაუჩნდეთ სურვილი, რომ დედათბილისს, მის მომავალს თითო ნერგი შემატონ.

არადა, მართლაც, რა კარგი იქნებოდა, რომ თბილისელთა ეფორო მეტი ნაწილი იყოს დაინტერესებული მშობლიური ქალაქის გალამაზებით, იქნებ, ყვავილის მოყვარულთა საზოგადოებაც კი დაგვეარსებინა.

ქალბატონნ თინათინნ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი სიყვარულით ეკიდებოდა ოდითგანვე ქართველი კაცი ვარდ-ყვავილებით ეზო-კარის მორთვა-მოკაზმვას.

როდესაც რუსთაველის პროსპექტზე ჩაუვლია, პოლონელ მეზერალს ადამ ვისოცკის უთქვამს: „თბილისის მთავარი ბულვარი — რუსთაველის პროსპექტი ულამაზესია. იმდენი სიმწვანე და ვარდ-ყვავილებია. ამდენი ყვავილები, ნარფერ ხალჩებად რომ აფენია, და ამდენი ვარდი არსად არ მინახავს“.

საბურთალოზე, შმიდტის ქუჩაზე კოხტა ეზოში წელწადის ყოველ დროს თავს იწონებს სხვადასხვა ჯიშის ვარდები, შროშნები და ღიღილოები, კაქტუსები და ნარგაზები, იები და ნარცისები, ჩიტავაშლა და სუმბული... მზრუნველ დისახლისს არც მწვანე კოინდრის ხალჩის დაფენა დავიწყებია, არც ციცქნა ნაკადულის შემოყვანა. თვითონაც აქ ტრიალებს, მთელი დღე, ბარავს და წმენდს თითოეულ ბუჩქს, აქა-იქ უმატებს დეკორატიულ ტოტებს, ლარნაკებსა და ქალთებს, რომ მეტი სილამაზე და სიმშვიდე ეფინეოდეს ირგვლივ, რომ მნახველმა ისევ და ისევ თქვას: „დაგელოცოთ მარჯვენა!“.

ვ. მაღლაკელიძე.

●●

სურათზე: მეყვავილე-დეკორატორი თ. ხარაძე თავის ბაღში.

ბ. სანაიას ფოტო.

ყაჯაჯი

კვლავ 1:1

მოსკოვი, 22 ივნისი, „ტორპედოს“ სტადიონი, 22.000 მაყურებელი. „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი) — 1:1 (0:1).

„დინამო“ (მ.): გონტარი, ნოვიკოვი (ლატვია), ნიკულინი, მახოვიკოვი (ტოლსტიხი), ბუბნოვი, პეტრუშინი, კოლესოვი, ინაევი, იაკუბაკი, მაქსიმენკოვი, გაზაევი.

„დინამო“ (თბ.): გოგია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი (ბოლქვაძე), ყიფიანი, შენგელია (კოპალეიშვილი).

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანოფრანკოვსკი).

დუბლიორები — 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა გუშინდელმა შეხვედრამ, როგორც ყოველთვის, აღლაც დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ორი წამყვანი გუნდისაგან ქეშმარიტ, დამაბულ და უშეღავათო ბრძოლას ელოდნენ.

მოსკოვის „ტორპედოს“ სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებსა და ტელემაყურებელს ნაწილობრივ გაუმართლდათ კიდეც მოლოდინი — კორექტული და სანახაობრივად მშვიდი და ლამაზი თამაში იხილეს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მოკრამ როგორც აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ გამოდგა გამარჯვებისათვის. პირიქით — მე-17 წუთის შემდეგ მათ ანგარიშის გათანაბრებისათვის მოუხდათ ზრწყვა (შეხვედრის მე-17 წუთზე მოსკოველთა კარში საჯარიმო დარტყმით ბურთი გაიტანა მ. მაჩაიძემ) და საწადელს მხოლოდ ბოლო წუთებზე მიაღწიეს, როცა მეკარე გოგიას კარში საპასუხო ბურთი გაიტანა იაკუბაკმა.

აღსანიშნავია, რომ იგივე ანგარიში — 1:1 აღინიშნა ამ ორი გუნდის შარშანდელ და შარშანწინდელ შეხვედრებშიც.

ჯ. ხუხაშვილი,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ამავე დღეს გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. კიევის „დინამომ“ უმასპინძლა „ერილია სოვეტოვს“ და გაიმარჯვა — 4:1.

ევროპელი სნაიპერები

ახლა, როდესაც ევროპის მეტწილ ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები დამთავრდა, გამოვლინდნენ პარიზის „ყოველკვირეულის „ფრანს ფუტბოლის“ ტარდიციული ჯილდოების „ოქროს“, „ვერცხლის“ და „ბრინჯაოს ბუცის“ პრეტენდენტები.

კისტმა (ჰოლანდია, „ალკმაარი“) 34 ბურთი გაიტანა, მაგრამ სმა (საბერძნეთი, „ათენის ა.ე.ა-ი) — 31, ფუკატემ (უნგრეთი, ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა“) — 30. ასე რომ მათი გასწრება შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყნების თავდამსხმელებს, სადაც ჩემპიონატი შემოდგომაზე მთავრდება.

მეოცე ლიგაში

გაიმართა მეორე ლიგის (მეოთხე ზონა) ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. გთავაზობთ საქართველოს გუნდების მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგებს: „დინამო“ (ზ.)-„ყარაბაღი“ — 1:0, „დინამო“ (ს.)-„პროგრესი“ — 2:0, „დინამო“ (ბ.)-„ავტომობილისტი“ — 1:0, „დილა“ (გ.)-„კოლხეთი“ (ფ.) — 4:0, „კოტაიკი“-„გურია“ (ლ.) — 2:0, „შირაქი“ — „ლოკომოტივი“ (ს.) — 2:2.

დაწინაურდა „მეტალურგი“

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილის სათავეში კვლავ ცვლილება მოხდა — რუსთავის „მეტალურგმა“ გალში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ადგილობრივი „მზიური“ და მის ნაცვლად დაიკავა ლიდერის პოზიცია.

ახლა „მეტალურგს“ 25 ქულა აქვს, „მზიურს“ კი 24.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

25 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი“, მეორე სერია (ფ.), 16.30 — აბიგურეიზგადათვის — ქართული ენა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — მოსწავლეთათვის „ჩვენი თეატრი“ (ფ). 19.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველოს არქივები“, 19.25 — „აკადემიკოსი ბენედიქტე ბალავაძე“, 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „საქართველო ბოლანდიაში“ (მ.), 20.00 — „ბოლოდ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი „ბალიანი“, 21.10 — „ბავშვთა ეკრანი“ — „ბალიანი“, 21.40 — „ბავშვთა ეკრანი“ — „ბალიანი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 22.35 — „ქართული ბალეტის ოსტატები“ — „ბარიშა ბაუერი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — „ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ზეიგენის კბილი“, 18.00 — მხატვრული ფილმი „სიტყვა ეთხოვ“. მეორე სერია (ფ.), 19.05 — მუსიკალური ფილმი.

26 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი“, მეორე სერია (ფ.), 16.30 — აბიგურეიზგადათვის — ქართული ენა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — მოსწავლეთათვის „ჩვენი თეატრი“ (ფ). 19.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველოს არქივები“, 19.25 — „აკადემიკოსი ბენედიქტე ბალავაძე“, 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ბალეტის ოსტატები“ — „ბარიშა ბაუერი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — „ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ზეიგენის კბილი“, 18.00 — მხატვრული ფილმი „სიტყვა ეთხოვ“. მეორე სერია (ფ.), 19.05 — მუსიკალური ფილმი.

27 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.05 — მხატვრული ფილმი „ივანოვეთის ოჯახი“ (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.40 — მოსწავლეთათვის — „კინეკრტი, 18.25 — „შეცნიერების საფსაროში“, 19.00 — „ამბავდარი“ — „ბადრიძე, 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „დაუვიწყარი კინოლენტები“ — მხატვრული ფილმი — „ორმოცდაშვიერთე“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ბალეტი „ლებედიანი“ — „კინომოგზაურობის ალუბი“ (მ.), 17.35 — „ღღეს საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა ღღეა“ (მ.), 18.05 — „მსოფლიოს ენციკლოპედიები“ (ფ.), 18.35 — „კინოავეშა“, 19.00 — „ბალეტი „ბორისი ბანორამა“ (მ.), 19.40 — „სტუდიოდან ოსტატობა“ (ფ.), 21.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ბალეტი „ბალეტი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ბ ა ბ ჭ ო ბ ა ... ავშვრის პირველობა რეგიონში — თბილისის „ლოკომოტივი“ — „ბოლოვილ „ლოკომოტივი“, მეორე გაიმი.

მეორე პროგრამით: 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.15 — კონცერტი, 18.00 — მხატვრული ფილმი „ქორწილი ხელმეორეზე“ (ფ.).

29 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.05 — მხატვრული ფილმი — „სუდიანი სიყვარულის გაზაფხული“, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — „უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ღირსეულნი“ — თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, 18.30 — „საბალნო კონტროლის ეკრანი“, 19.00 — „ბუნების კარი“ (ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.40 — „ეგასტროლეების შემდეგ“ — თბილისის ფ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერული ორკესტრი (ფ.), 21.10 — კინოკამერა „დიდი სამამულო“ — „პოლონეთის განთავისუფლება“ ფილმი „მეთექვსმეტე“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „ოქროს ორფეოსის“ მე-15 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატთა კონცერტი (ლადმოცემა „ეროვნული განთავისუფლება“

მეორე პროგრამით: 17.10 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“, მხატვრული ფილმი „საიცარი ბერენდე